ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. თბილისი

13 მარტი, 2018 წელი

ერთი მხრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლო (შემდგომში „სასამართლო“), წარმოდგენილი სასამართლოს მენეჯერის, ვანო ბოლქვაძის მიერ და მეორე მხრივ, შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“ (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორის კახი ყურაშვილის მიერ, დებენ წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს (შემდგომში „მემორანდუმი“) და თანხმდებიან შემდეგზე:

1. მიზანი

მემორანდუმის მიზანი არის სასამართლოსა და სასწავლო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების, ვადებისა და პირობების დადგენა.

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1. მემორანდუმის შესრულების მიზნით, სასამართლო:

ა. გამოყოფს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფილ სხდომის დარბაზებს უნივერსიტეტის მიერ იმიტირებული პროცესების ჩატარებისათვის;

ბ. უზრუნველყოფს სასამართლო ტურის ორგანიზებას იმიტირებული პროცესების მონაწილეებისა და უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის;

გ. მოთხოვნის შემთხვევაში, აწვდის სასწავლო უნივერსიტეტს სასამართლო გადაწყვეტილებებს იდენტიფიკაციის გამომრიცხველი ფორმით;

დ. უზრუნველყოფს სამართლის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში უნივერსიტეტის მიერ მომზადებული საქმეთა ანალიზების (ე.წ. Case Brief-ების) განთავსებასა და მათი შესაბამისი საქმის მოსამართლეებისათვის მიწოდებას;

ე. უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტისათვის ინფორმაციის მიწოდებას სასამართლოში დაგეგმილი საჯარო საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

ვ. უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი საგანმანათლებლო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას საქართველოს სასამართლოებში შიდა საინფორმაციო ვებ-გვერდის (ინტრანეტის) მეშვეობით;

ზ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი წესით, ხელს უწყობს სასწავლო უნივერსიტეტს სამართლის საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტების მიერ სასამართლოში სასწავლო პრაქტიკის გავლაში.

2.2. მემორანდუმის შესრულების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი:

ა. თანამშრომლობს სასამართლოსთან სასამართლო პრაქტიკაში პრობლემურ სამართლებრივ საკითხებზე სასამართლო მეგობრის (ე.წ. amicus curiae) ფუნქციის შესრულების გზით;

ბ. უზრუნველყოფს საკუთარი აკადემიური პერსონალის მიერ სასამართლოში კვარტალში ერთი საჯარო ლექციის ჩატარებას აქტუალური სამართლებრივი ან ორგანიზაციული კომპეტენციების შესახებ;

გ. აძლევს დაშვებას სასამართლოს მოხელეებს სასწავლო უნივერსიტეტში არსებულ ლიტერატურის შიდა მონაცემთა ბაზაზე, ამ ბაზაში განთავსებული ნაშრომების რეპროდუცირების უფლების გარეშე;

დ. უზრუნველყოფს სასამართლოს ბიბლიოთეკისათვის სასწავლო უნივერსიტეტის გამოცემათა 3 (სამი) ეგზემპლარის მიწოდებას;

ე. უზრუნველყოფს სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკისათვის სასწავლო უნივერსიტეტის გამოცემათა საჯაროდ ხელმისაწვდომი ელექტრონული ვერსიების მიწოდებას;

ვ. უზრუნველყოფს სასამართლოსათვის ინფორმაციის მიწოდებას სასწავლო უნივერსიტეტში დაგეგმილი საჯარო საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

ზ. უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ დაგეგმილი საგანმანათლებლო ღონისძიებების შესახებ უნივერსიტეტში ინფორმაციის გავრცელებას.

2.3. მემორამდუმის ეფექტური შესრულების უზრუნველსაყოფად სასამართლო და სასწავლო უნივერსიტეტი გამოყოფენ საკონტაქტო პირებს.

3. დასკვნითი დებულებები

3.1. მემორანდუმი დადებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

3.2. მხარეები თანხმდებიან, რომ მემორანდუმის პირობებს განუხრელად დაიცავენ, ხოლო დავის შემთხვევაში საკითხს მოაგვარებენ მოლაპარაკების გზით.

3.3. მხარეები უფლებამოსილნი არიან ურთიერთშეთანხმებით შეიტანონ ცვლილებები ან შეწყვიტონ მემორანდუმი.

3.4. მემორანდუმი ძალაში შედის წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2 (ორი) წლის ვადით.

3.5. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

მხარეთა წარმომადგენლების ხელმოწერები:

ვანო ბოლქვაძე	**კახი ყურაშვილი**
თბილისის სააპელაციო სასამართლო სასამართლოს მენეჯერი	შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“ სასწავლო უნივერსიტეტის პროორექტორი